№ 120 ივნისის 11, სამშაბათი, 1902 წ. 1877

# ივერია

1902 № 120 ივნისის 11, სამშაბათი, 1902 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი


## პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს ექვს მანეთად და ათ შაურად (6 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
**ქუთაისში:**—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
**ბათუმში:** მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საააგენტოში).
**სამტრედიაში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
**ზუგდიდში:**—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

## გაზეთი „ივერია“

**რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,**

გადადის საკუთრებად „ივერიის“ ამხანაგობის ხელში.

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

უცბად გარდაიცვალა პიატიგორსკში მიმავლობის დროს 9 ამა ივნისს თავადი

**პავლე მიხეილის ძე**

## თუმანიშვილი.

დასაფლავების დღე განსვენებულისა ქ. ქუთაისში ცალკე იქმნება გამოცხადებული. (1—357—1)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქმნება **დაბ. სურამში**

## სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კადეტის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიდი. (6—7)

**ქართველ ქალთა**

## ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკრავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა № 12.

**ექიმი**

ალექსანდრე გიორგის ძე

**მაღალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა 9—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

**ქ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

**ვ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**მ. ი. იანჩევსკი:** ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილ-ის 12—1 საათამდის.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.

**გ. ა. თარხანოვი.** 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)


## ტფილისი

✦ კახიდგან (ზაქათალ. მაზრა) დეპეშით გვატყობინებენ, რომ ყაჩაღის იუნუსის დევნის დროს ასტყდა სროლა, რომელშიაც მოჰკლეს კახის უჩასტკის უფროსი შტაბს-კაპიტანი ზინოვიევი.

✦ დღეს, 11 ივნისს, საღამოს 7½ საათზედ, დანიშნულია კავკასიის საიმპ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება.

✦ ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთა კრებას გადაუწყვეტია დააარსოს განყოფილება კონსულტაციისა მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.

✦ ჩვენ შევიტყეთ, რომ ეპისკოპოზს კირიონს უთხოვნია უმაღლეს სასულიერო მთავრობისათვის განათავისუფლონ სამსახურიდგან და დანიშნონ დავით-გარეჯის მონასტრის წინამძღვრად, ან არა ნება დართონ ათონზედ წავიდეს და იქ მთავრობის დახმარებით იქაური ძველი ქართული ხელთ-ნაწერები ასწეროს, წარწერები შეაგროვოს და საქართველოს საეკკლესიო ნაშთნი შეისწავლოს და გამოიკვლიოს.

✦ ამ ჟამად ტფილისში მყოფ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორებმა ვ. მ. პეტრიაშვილმა და პ. თ. ბარაკოვმა აღნიშნულ უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოგზაურ სტუდენტებთან ერთად გუშინ-წინ, 9 ივნისს, დაათვალიერეს კავკასიის მუზეუმი.

✦ გუშინ-წინ, 9 ივნისს, სათავად-აზნაურო თეატრის ფოიეში, გ. მ. ლასხიშვილის თავმჯდომარეობით კერძო კრება ჰქონდა სახალხო წარმოდგენების გამმართველ ქართულ სექციას და სახალხო სცენის მოღვაწეთ რამდენისამე საქმის განსახილველად. კრებაზედ დამსწრეთ სექციის ახალ წევრთა კანდიდატებად ხმის უმეტესობით ამოირჩიეს: ქ-ნნი მ. დემურიასი, ს. რომანიშვილი, თ. ჩიჟავაძე და ბ-ნნი ნ. გოცირიძე, თავ. ი. ბარათაშვილი, კ. ჯაფარიძე, ირ. ხოსიტაშვილი, ალ. სოლოღაშვილი, ი. ცინცაძე, ი. ბესელიძე, თუშმალაშვილი და ხახანაშვილი.

## ალაგობრივის

### ცხოვრების ამბები

ქუთაისის საგუბერნიო მმართველობა აგროვებს ამ ჟამად ცნობებს, რომ განაკარგოს საქმე შეუძლებელთა და ღარიბთა მოვლა-პატრონობისა, როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისის გუბერნიის სხვა ადგილებშიაც.

—

**ბათუმი.** ჩვენებურნი ხე-ტყის მრეწველნი სიამოვნებით მიეგებნენ იმ აზრს, რომ არჩეულ იქმნეს ერთი კაცი და იმას მიენდოს დაცვა მათის ინტერესებისა და ისეთ ღონისძიებათა მიღება, რომელიც დაიხსნის ამ მრეწველთ ჩარჩთა კლანჭებისაგან. ყველანი კითხულობენ, რას ჰფიქრობს მ. ანჯაფარიძე, აპირებს რასმე თუ არა. ჩარჩებიც ყურ-მახვილად არიან და დაცინვით გვეკითხებიან: აბა, ქართველებს ბანკი მოგეშველებათ თუ არა კრედიტით, ან სხვაფრივ დაგეხმარებათო? ცოტა არ იყოს, ეჭვში არიან და შიშობენ კიდეც, გემრიელი ლუკმა ხელიდგან არ გამოგვაცალონო. ბ-ნი ანჯაფარიძე ადგენს ამ ჟამად იმ ხელ-შეკრულობას, რომლითაც უნდა დაარსდეს ხე-ტყის მრეწველთა სინდიკატი, რათა უფრო მეტი სარგებლობა ჰქონდეთ იმ მრეწველობისაგან, რომელსაც ადგანან. ხელ-შეკრულობას, როცა მზად იქნება, „ივერიაში“ გამოვგზავნით დასაბეჭდად.

დარწმუნებულნი ვართ, თუ ამ საქმეს მხნედ მოვკიდებთ ხელს, ადვილად წარვმართავთ საერთო ღონით საკეთილოდ და ყველაც თანაგრძნობით მოეკიდება ამ საქმეს.

სპირიდონ ხვიჩია.

—

**დ. ხონი.** ქუთაისის საოსტატო სემინარიის კურსი დაამთავრა წელს ცხრამ კაცმა. აი მათი სახელი და გვარები: ვუკოლე ბერიძე, ივანე წერეთელი, ნიკოლოზ ჩიმაკაძე, ვლადიმირ ნადარეიშვილი, კალისტრატე წუწუნავა, ლაზარე შურღაია, მიხეილ თათარიშვილი, გრიგოლ მიქაძე და ალექსი სომოვი.

აქვე არსებულ საქალაქო სასწავლებლის კურსს ათავებს წელს 30-დე კაცი. ყველა ქართველებია; აგრეთვე მარინეს სასწავლებლის კურსს დაამთავრებს ცხრა ქართველი ქალი.

აქეთ ამინდები კარგია; ცოტა გვალვაა; პარკით ვაჭრობა მარჯვედ მიდის.

ვ. მალაქიაშვილი.

—

**დ. ყვირილა.** თხუთმეტ წელიწადზედ მეტია, რაც ყვირილაში, აქაურ პოლიციის სურვილით, დაწესდა „დესიატნიკები“ და განათება-სისუფთავის მოიჯარადრის დაქირავება მზგავსად სხვა დაბა-ქალაქებისა; საჭირო ფული ყოველ წლიურად უნდა ეხადნა აღნიშნულ დაბას. ამ საქმის გასაძღოლად არჩეულ იქმნენ მოთავე კაცნი. იმათი ვალი იყო ფულის გაწერა, მოგროვება და ძლევა „დესიატნიკებისა“ და მოიჯარადრისათვის.

ამ საქმისათვის ყვირილელები ყოველ წლივ იხდიან ორი ათასიდან სამი ათას მანეთამდე, მაგრამ ეს ფული უთავ-ბოლოდ იხარჯება და დაბას-კი წარმატება არა ეტყობა-რა არც განათება-სისუფთავის მხრივ და არც წესიერების დაცვის მხრივ. არჩეულ თავ-კაცებს შემოსავალ-გასავლის ანგარიშები არა აქვთ რიგიანად წარმოებული. ზოგს ხვედრი ჯამაგირი და საიჯარო ფული დღესაც არ მიუღია.

საჭიროა აღნიშნულ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს, რომ ასე უთავბოლოდ არ იხარჯებოდეს აღნიშნული ფული. ამისათვის საჭიროა ყვირილელებმა დაბად წოდებული ყვირილა მართლა დაბათ გადააკეთონ, რომ ყვირილასაც რამე ეშველოს.

—

**იქიდგანვე:** ივნისის 2, კვირა ღამეს, ვიღაც ბოროტმოქმედებმა გასტეხეს ახლად აგებული ქვის ეკკლესია, საიდანაც წაუღიათ მხოლოდ რამდენიმე მანეთი ფული და სხვა არაფერი, თუმცა ძვირფასი ნივთებიც ინახებოდა ეკკლესიაში.

6 ივნისს ყვირილასაც ესტუმრნენ კავკასიაში სამოგზაუროდ ოდესიდან წამოსული სტუდენტები ბ-ნ პროფესორ პეტრიაშვილის მეთაურობით; ინახულეს და დაათვალიერეს საქარის სანერგე და შემდეგ აქედან ჭიათურაში გაემგზავრნენ იქაურ მაღაროებისა და სხვა შესანიშნავ ადგილების დასათვალიერებლად.

იამანიძე

—

**ხიდისთავი** (გურია).—ამ წლის 4 ივნისს ხიდისთავში მოხდა უფასო სამკითხველოს არა-ჩვეულებრივი საზოგადო წევრთა კრება; თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ერ. ჯაში, მდივნად მელ. თავართქილაძე.

განსახილველი საკითხები იყო შემდეგი: 1) ამორჩევა ბიბლიოთეკის გამგესი, გამგედ ნამეოფის ანტ. რამიშვილის მაგივრად, რომელმაც თავი დაანება გამგეობას მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო. 2) ამორჩევა წიგნთ-საცავის დამაარსებელისა, აწ განსვენებულ სიმონ ბერეჟნის მაგივრად, და სხვა საკითხები, რომელიც შეეხებოდა სამკითხველოს. კრებამ ერთ ხმად მადლობა გამოუცხადა გამგეთ ნამეოფს ანტ. რამიშვილს მის ერთგულისა და დაუღალავის სამსახურისთვის წიგნთ-საცავის გამგეობის დროს. ამ მოკლე დროში მან სწორედ დაიმსახურა პატივისცემა ჩვენს საზოგადოებაში სხვა-და-სხვა საქველმოქმედო საქმეებში. გამგედ არჩეულ იქმნა ელ. ი. კალანდაძე, გამგეობის წევრებათ: ერ. ჯაში, განო კალანდაძე, ი. კალანდაძე, წიგნთ-საცავის დამაარსებლად არჩეულ იქმნა მასწავლებელი ნესტორ კალანდაძე.

დამაარსებლის არჩევამ დიდი ბაასი გამოიწვია. ზოგი ამბობდა: „საჭიროა ვსთხოვოთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიიღოს დამაარსებლობა თავისს სახელზედ და მაშინ წიგნთ-საცავი კარგ მდგომარეობაში იქნება და უზრუნველ უიფილაცაო, მაგრამ კრებამ დროებით დამაარსებლობა კერძო პირს მიანდო, რადგანაც ზოგი ორატორი ამბობდა, რომ წერა-კითხვის საზოგადოებას მეტად რთული საქმეები აქვს და ჩვენს თხოვნას ვერ შეიწყნარებსო; თუ საჭირო იქნება შემდეგში ვითხოვოთო.

საზოგადო სახლის აშენების საქმე ისევ ანტ. რამიშვილის ხელში დარჩა. იმედია ბ-ნი ანტ. რამიშვილი ამ საქმეს მაინც დააგვირგვინებს.

მაყურებელი.

—

**ახალნი წევრნი ქუთაისის სათ.-აზნაურო ბანკის განახლებულის ზედამხედველის კომიტეტისა** *)

(ამორჩეულნი რწმუნებულთა კრებაზედ ივნისის 5-ს).

**დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძე** იურისტია, სწავლა დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტში 1873 წ.—მოსკოვიდგან და პირველ ხანებში ქუთაისიდგანაც კორრესპონდენციებს აწვდიდა „დროებას“. უნივერსიტეტის დამთავრებისათანავე შეუდგა ადვოკატობას ქუთაისშივე, 1875 წ. კენჭი იყარა, როგორც ინტელიგენციის კანდიდატმა, ქუთაისის ქალაქის საბჭოს მდივნობაზედ, მაგრამ მიღებულ ხმათა რაოდენობით ცოტა უკან ჩამორჩა მეორე კანდიდატს—ნ. მ. კანდელაკს.

მას აქეთ შარშანწინამდე იგი ეწეოდა ვექილობას, დიდი ხანია ჰხმოსნობს ქალაქის საბჭოში და დიდი ხანი იყო სააზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის საქმის მკეთებელ, მომქმედ წევრად.

შარშან-წინ ამორჩეულ იქმნა ქუთაისის ქალაქის თავად. მისმა თავობამ, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც მოუსწრო იმ ხანას ქალაქის მეურნეობისას, როცა საბჭო საბოლოვოდ უნდა შეჰკვროდა პირობით ინჟენერ-კონტრაგენტს მიხაილოვს წყლის მილისა და ელექტრონის ტრამვაის გასაყვანად. მისის მონაწილეობით, რამდენადაც შეიძლებდა, შესწორებულ იქმნა წყლის მილის შესახები ხელშეკრულობა, ესდენ ბუნდოვანად შემუშავებული ქუთაისის წინანდელ „მამებისაგან“. მისისავე საკეთილო დაჟინებით ეკლარის ძვირფასის ქვის სატეხი დატოვებულ იქმნა ქალაქის სამეურნეო გამგეობაში და არ გაიცა იჯა-

*) იხ. „ივერია“ № 119.

რით უწინდულებრ კიტრის ფასად. მისივე თავოსნობით წესიერი მეურნეობა მყარდება ქალაქის კასისა და ანგარიშთ-წარმოებაში, რაც ასე კოჭლობდა წინად...

**სერგეი დ. ჯაფარიძე** იურისტია, დამთავრებული აქვს უნივერსიტეტი ამ ექვსიოდე წლის წინად. მას აქეთ ადვოკატობს ქუთაისში. სამის წლის წინად არჩეულ იქმნა რაჭის თავად-აზნაურობისაგან დეპუტატად ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოში. როგორც ადვოკატმა სახელი გაიკეთა ანჯაფარიძისეულ „შეაზრეშუმეთა საზოგადოების“ საქმის ლიკვიდაციის დროს მართალის მხარის ინტერესების ენერგიულად და ცოდნით აღჭურვილ დაცვით. ერთის წლის (1900—1901) განმავლობაში ეწეოდა უღელს გამგეობის გამგე-დირექტორისას ანჯაფარიძისეულის საზოგადოების ნაშთზე აგებულ „კოლხიდის“ ამხანაგობაში მისმა გასვლამ ამხანაგობიდან გამოიწვია ყველა დანარჩენ გამგეთა გასვლაც.

თ. მამაძე.

(დასასრული იქნება).

# კავკასია

მაისის განმავლობაში ბაქოს დამოჟნიდგან გაუტანიათ სპარსეთში 250,000 ფუთი შაქარი.

—

ჩრდილო კავკასიაში აპირებენ სახელმწიფო სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკების განყოფილებათა დაარსებას.

—

**ყარსი.** 8 ამ თვეს მოვიდა აქ ტფილისის სამოსამართლო პალატის სესსია; უნდა გარჩეულიყო საქმე აქაურ პოლიციის ბოქაულის, დუშეთის მაზრის აზნაურის, ვლადიმერ ოსიტაშვილისა.

ოსიტაშვილი სამართალში იქმნა მიცემული, როგორც მკითხველთ უწყიან, იარაღის ხმარებისათვის ერთის მოხელის წინააღმდეგ.

დამნაშავეს იცავდა ნაფ. ვექ. ტურკევიჩი, რომლის შუამდგომლობითაც საქმე გადაიდო, რადგან საჭირო რიცხვი მოწმეებისა არ გამოცხადდა. საქმე შემოდგომისათვის გადაიდო.

# რუსეთი

3 ივნისს გაემართა პეტერბურგიდგან პიატიგორსკში დასასვენებლად და სამკურნალოდ თავმჯდომარე უწმ. სინოდისა მიტროპოლიტი ანტონი, რომელიც 3 თვეს დაჰყოფს წყლებზედ. მიტროპოლიტი გააცილეს ვოგზალამდე მთავარ-ეპისკოპოსებმა, ეპისკოპოსებმა, პეტერბურგის ტაძართა წინამძღვრებმა, კეთილმოწესე მღვდლებმა და მათმა თანაშემწეებმა, სემინარიის რექტორმა და მასწავლებლებმა, ობერ-პროკურორის ამხანაგმა საბლერმა, სასულიერო აკადემიის პროფესორებმა და სხვ.

— უწმ. სინოდის ობერ-პროკუროს კ. პ. პობედონოსცევს, როგორც პეტერბურგიდგან გვატყობინებენ, სამსახურიდგან გადადგომის ქაღალდი შეუტანია. მის მაგიერ ინიშნება გრაფი შერემეტიევიო.

— იქიდგანვე გვატყობინებენ, რომ უნდა შესდგეს ცალკე საგენერალ-გუბერნატორო ვილნოსი და გენერალ-გუბერნატორად ინიშნება ეხლანდელი ჟანდარმთა შეფი სვიატოპოლკ-მირსკი. ხოლო ფონ-ვაალი, ეხლანდელი გუბერნატორი ვილნოსი, რომელიც ბოროტმომქმედმა დასჭრა, ინიშნება სვიატოპოლკ-მირსკის ალაგზედ.

# უცხოეთი

**ლონდონი.** „მეტად საყურადღებო ამბავი,—პოლკოვნიკ ლინჩის დატუსაღება!“ გაიძახოდნენ გაზეთის დამტარებელი ბავშვები ლონდონის ქუჩებში 30 მაისს. სწორედ, რომ საყურადღებო ამბავიცაა, ჯერ მიტომ, რომ ინგლისში პოლიტიკური პროცესსი მეტად იშვიათია და მერმე, თვით ლინჩი—ყველაფრით განსაკუთრებული პირია. წარმოიდგინეთ მაღალი, მოხდენილი, სილამაზით შემკული, ჭკვიანი, ცისფერი თვალების მქონე, ასე 40 წლის კაცი, მძლავრის ენერგიულ სახის პატრონი. ლინჩი—ჩამომავლობით ირლანდიელია, დაბადებით ავსტრალიელი და თავის სიმპატიით—ბური. ხელობაც ასევე ნაირ-ნაირი აქვს: ირლანდიელი მემამულე—რომელმაც მთელი მამული ფერმერებს გარდასცა, სწავლით—ინჟენერი, პროფესორი უმაღლეს მათემატიკისა—გარემოებათა იძულებით, ჟურნალისტი—სიმპატიით და მხედარი—სულით, აი, ვინაობა პოლკოვნიკ არ. ლინჩისა. ლინჩი ინჟენერობდა მხოლოდ ორი წელი; შემდეგ სამი წელი უმაღლეს მათემატიკას კითხულობდა მელბურნის უნივერსიტეტში; ბოლოს გაზეთის თანამშრომლობას მიჰყო ხელი და სწორედ იდეალური ჟურნალისტიც გამოდგა: ცოცხალი, გრძნობიერი და გულ-შემატკივარი, დიდი მცოდნე საქმისა და ხელოვნურის ნიჭის მქონე. ექვსის წლის განმავლობაში მეორედ გამოიცა მისი ნაწერები, რომელიც უფრო დახასიათებაა თანამედროვე პოლიტიკურ მოღვაწეთა: აქ შეხვდებით უელსის პრინცსა—ეხლანდელ მეფეს, ჩემბერლენს, ბალფურს, ჯონ ბერნსს, ზოლას, კიპლინგს, ჰერბერტ სპენსერს, პსიხოლოგ ბენს და სხვათა; ზოგან გადაჭარბება ეტყობა ავტორს, მაგრამ ყოველ სტრიქონს მძლავრი და ხელოვნური დაღი ასვია. რადგან ინგლისისადმი სიმპატიას არა გრძნობდა, ლინჩი პარიზში გადასახლდა; ენების ზედმიწევნით ცოდნის წყალობით იგი ფრანგულ გაზეთებშიაც თანამშრომლობდა. ასტყდა თუ არა სამხრეთ-აფრიკის ომი, ლინჩი ფრანგულ გაზეთის კორესპონდენტის სახელით გაემგზავრა ბრძოლის ველზე. პატარა ერის ვეება მოპირდაპირესთან ბრძოლამ ისე გაიტაცა იგი, რომ ყველაფერი უკუ აგდო და „ირლანდიის ბატალიონში“ ჩაირიცხა; ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბატალიონში ყოველი კუთხის „ირლანდიელი“ იყო. ბოტასაგან ლინჩმა პოლკოვნიკის ხარისხი მიიღო. გასულ ნოემბერში ლინჩი გოლუეიდგან პარლამენტში იყო არჩეული წარმომადგენლად. გუშინდლამდე პოლკოვნიკი პარიზში სცხოვრობდა, 29 მაისს-კი სკიპერს აცნობა, რომ ინგლისში უნდა წავიდეო და კიდეც წავიდა. ჩამოხდა თუ არა ლონდონში, მაშინვე შეიპყრეს. დიდ გართულებულ პოლიტიკურ პროცესს მოელიან. ლინჩი დარწმუნებულია, რომ მისს საქმეს სახალხოდ გაარჩევენ და სწორედ მიტომაც გადასწყვიტა მართ-მსაჯულების წინაშე წარდგომა.

— გასულ შაბათს დაიწყო საქმის გარჩევა ბიოგრაფიულ ცნობების წაკითხვის შემდეგ, რომელიც ზევით მოვიყვანეთ. ბრალმდებელმა განაცხადა, რომ საქმე უნდა გადიდვას, რადგან მოწმეთა უმეტესი რიცხვი სამხრეთ-აფრიკაში იმყოფებაო. ამაზედ ლინჩის ვექილმა უპასუხა, რომ მისი კლიენტი სრულებით ცხადად მოქმედებდა და თავის ნამოქმედარს უარს არა ჰყოფსო; იგი თავის ნებით წარუდგა წინ ინგლისის სასამართლოს და მზადაა[illegible]იკისროს თავის ნამოქმედარის შედეგიო. ამის შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს მოწმეთ, რომელთაც ლინჩი ბურებთან ერთად ბრძოლაში უნახავთ.

**გერმანია.** თითქმის ყველა გერმანულ და ფრანგულ გაზეთებში შეხვდებით ცნობებს პოზნანიდგან პოლონელ თავად-აზნაურთა გადაწყვეტილების შესახებ, რომ იმპერატორ ვილჰელმ II პოზნანში მოსვლის დროს ყველანი ქალაქიდგან გავიდნენ. პოლონურ გაზეთების უმეტესი ნაწილი თანამოძმეთ ურჩევს სიფრთხილით მოქცევას და დემონსტრაციების მორიდებას, რადგან ამით შესაძლოა საერთო საქმის შეფერხებაო.

**ესპანია.** სამხრეთ-ესპანიაში დიდი მოძრაობა დაიწყო სოფლელთა შორის. ამის გამო მუშაობა ბევრგან სრულებით შესწყდა...

**საფრანგეთი.** გაზეთ „Matin“-ის სიტყვით, პოლიციას ეჭვი აქვს, რომ ემბერის სახლობა საფრანგეთიდგან-კი არ გაპარულა, არამედ იქვე მონასტერში იპოვეს თავ-შესაფარი. ზოგიერთი მონასტერი უკვე გასჩხრიკეს.

**ინგლისი.** პროგრამმა ინგლისის საკორონაციო დღესასწაულისა.

10 (23) თიბათვეს. ლონდონში მოსვლა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა. სადილი ბუკინგამის სასახლეში. სადილის შემდეგ სხვა-და-სხვა ამალის წევრთა მიღება.

11 (24) თიბათვეს. მეფე-დედოფალი მიიღებენ კურთხევაზედ დამსწრე ელჩებსა და დელეგატებს. სადილი იქვე სასახლეში.

12 (25). მეფე მიიღებს მინისტრ-პრემიერებს და დელეგატებს ბრიტანიის ყველა ახალშენებიდგან. უელსის პრინცი გაჰმართავს ს. ჯერმენის სასახლეში სადილს ყველა პრინცებისა და ელჩებისათვის.

13 (26) კურთხევის ცერემონია. მეფე ედუარდ მე-VII-დე ბუკინგამის სასახლიდგან გამობრძანდება $10^1/_2$ საათზე; სამეფო სახლეულობისათვის სასახლეში გაიმართება სადილი.

14 (27). მეფე ბრწყინვალე ამალის თანხლებით ბუკინგამის სასახლიდგან $10^1/_2$ ს. ლონდონის მთავარ ქუჩებს ჩამოივლის. საღამოჲ მეფე-დედოფალი მარკიზ ლანსდოუნის —გარეშე საქმეთა მინისტრის—ოტელში დაესწრებიან სტუმრების მიღებას.

15 (28). მეზღვაურთა დათვალიერება. მეფე-დედოფალი ღამეს სამეფო იახტაზე გაატარებენ. უცხოელი პრინცები და ელჩები ლონდონშივე დაბრუნდებიან.

16 (29). ნადიმი, რომელსაც უცხო პრინცებს უმართავენ ელჩები და დესპანნი.

17 (30). მეფე-დედოფალი ლონდონს დაბრუნდებიან და საღამოს ოპერაში დაესწრებიან წარმოდგენას.

18 (1). ჰარდენ-პარტი გაიმართება ვინდზორის სასახლეში ნაშუადღევის $3^1/_2$ ს.

19 (2). გამგზავრება უცხოელ პრინცთა და დესპანთა. მეფე-დედოფალი დაესწრებიან მარკიზ ლონდონდერის ოტელში—ლონდონდერი-ჰოუზში—გამართულ სადილს.

20 (3). მეფე-დედოფალი დაესწრებიან წირვას წმ. პავლეს ტაძარში. ისაუზმებენ ჰილ-ჰოლში—ლონდონის სიტში.

21 (4). მიიღებენ ინდოეთის პრინცებს ინდოეთის სამინისტროში. ამ ცერემონიას მეფე-დედოფალიც დაესწრებიან.

22 (5). გაიმართება სადილი მეფე ედუარდ მე-VII-დის სახელობით ლონდონის ღარიბ-ღატაკთათვის.

**ავსტრ-უნგრეთი.** ვენაში თავი მოიკლა ერთმა ცამეტის წლის გიმნაზიელმა—ვინკელმა. ამ ნორჩს თავის მკვლელს წერილი დაუტოვებია მშობლების სახელზე, სადაც თავისკვლის მიზეზს ასე განმარტავს: „მე არა მსურს ვიცოცხლო ბურების დამარცხების შემდეგ. ვერ ვუმტყუნებ მათ ბაირაღს და მათის თავისუფლების მოსპობასთან ერთად ჩემს სიცოცხლესაც ვსპობ!“ რაღა უჭირდათ ბურებს, რომ ასეთი ერთგული ქირისუფალი ბლომადა ჰყოლოდათ.

**საფრანგეთი.** საფრანგეთისა და აბისინიის მთავრობათა შორის ჯერ კიდევ მოლაპარაკებაა ფრანგების მიერ ჯიბუტიდგან აბისინიის სატახტო ქალაქამდე რკინის გზის გაყვანის შესახებ. ამ ჟამად, როგორც „Figaro“-ს ატყობინებენ ჯიბუტიდგან ამა თიბათვის 13-ს, თითქმის ეჭვს გარეშეა, რომ ნეგუსი ხელს მოაწერს იმ ხელშეკრულობას, რომელიც მას განსახილველად წარედგინა.

# სხვა-და-სხვა წერილები

## სია საკითხებისა,

**რომელიც მისსიონერ-ინსპექტორის მღვდლის ტარასი ივანიცკის აზრით განხილული უნდა იყოს ქართლ-კახეთის სამღვდელოების მომავალ კრებაზედ.**

კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ წინადადება მისცა თავის უწყების მისსიონერ-ინსპექტორებს წარმოადგინონ საკითხნი, რომელთა განხილვა, მათის მოსაზრებით, მომავალს საეპარქიო სამღვდელოების კრებაზედ სასარგებლო იქნება. მაისის გასულს სოხუმის ეპარქიის მისსიონერ-ინსპექტორმა მღვდელმა ტ. ივანიცკიმ წარადგინა განსახილველად ორმოცი საკითხი და მასთან წარგზავნა სია ქ. სამარაში შარშან მომხდარის კრების მიერ განხილულ საკითხებისა და დადგენილებანი 8 ეპარქიის სხვა-და-სხვა ხალხთა განათლების მმართველთა წარმომადგენელებისა, სამარის ეპისკოპოსის გურიის თავმჯდომარეობით, რომლის განაჩენიც დაბეჭდილია მოსკოვის სამისსიონერო საზოგადოების ჟურნალში, № 20, ოქტომბერს 1901 წ., „Православный Благовѣстникъ“-ში.

აი სია იმ 40 საკითხისა, რომელიც მ. ტარასის წარუდგენია ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრების საყურადღებოდ:

1. საქართველოს საეგზარხოსოს სხვა-და-სხვა კუთხეებში დაარსდეს სამისსიონერო სტანები, მაგალითად: ზაქათალის ოლქში, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, ბათომის ოლქში, აფხაზეთში და სხვ. იმ გვარი სტანები, როგორიც აქვს მოსკოვის სამისსიონერო საზოგადოებას თავის უწყების ხალხთა შორის.

2. ტფილისის სასულიერო სემინარიაში შემოღებული იყოს კათედრა მაჰმადიანობის შესწავლისა მე-V და VI კლასებში, სადაც უნდა ასწავლიდნენ მისსიების ისტორიას, მაჰმადიან ხალხების ეთნოგრაფიას ისლამის დარღვევას და სხვ.—ასეთი კათედრა შეიძლება დაარსდეს კავკას. ქრისტ. აღმად. საზოგადოების წესდების 38 §-ს ძალით.

3. იმ პირთ, ვისაც სემინარია არა აქვთ დამთავრებული და სამისსიონერო პრიხოდში სამღვდელო-საეკკლესიო მსახურების ადგილს ეგზამენით ეძიებენ, მოეთხოვოს ეგზამენი მაჰმადიანობის დარღვევის ცოდნაში იმ შემოკლებულის წიგნით მაინც, რომელიც შედგინა ეპისკოპოსმა ვიკტორინემ და იმ წიგნებით, რომლებ. ყაზანის ძმობის საბჭო ხშირად ჰბეჭდავს გასავრცელებლად (წიგნი ღირს 10 კაპ.).

4. სხვა-და-სხვა პროვინციებში დაარსდეს განყოფილებანი ტფილისის სასულიერო სამისსიონერო ზნეობრივის ძმობისა, განსამტკიცებლად ამ ძმობის მოქმედებისა სხვა ადგილებშიაც და შეერთებულ იქმნას სხვა-და-სხვა ძმობათა მოქმედებანი ტფილისის ძმობის მოქმედებასთან.

5. წელიწადში ან ორ წელიწადში ერთი მოწაფე ტფილისის სემინარიაში კურს-დამთავრებული გაიგზავნოს ყაზანის აკადემიის ორის წლის სამისსიონერო კურსებზე, იმ პირობით, რომ ამ მოწაფემ, იქიდგან დაბრუნების შემდეგ იმსახუროს ქრისტ. აღმად. საზოგადოების უწყებაში ხუთი წელიწადი.

6. საზოგადოების საბჭოს მისსიონერებს და სექტანტების მოწინააღმდეგე მისსიონერებს დაენიშნოთ თანაშემწენი მაზრებსა და საბლაღოჩინო ოლქებში; ზოგიერთ საბლაღოჩინო ოლქებში, თუ შეიძლება, მისსიონერისა და ბლაღოჩინის თანამდებობა იყოს შეერთებული ერთს მღვდელში, იმ პირობით, რომ სამრევლოებისაგან იყოს განთავისუფლებული.

7. ერთი ვიკარნი ეპისკოპოსი დაყენებული იყოს მისსიის უფროსად, რათა თვალ-ყური ადევნოს და რიგი მისცეს მისსიონერებს და ბლაღოჩინებს; იმართებოდეს დრო-გამოშვებით სამისსიონერო კრებები („სიეზდი“) ამ ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით.

8. სინოდალურ კანტორის წევრები ორ წელიწადში ერთხელ მაინც იგზავნებოდნენ სარევიზიოდ ბლაღოჩინების მოქმედებათა; სარევიზიოდვე იგზავნებოდნენ საზოგადოების მისსიონერებიც თავის უწყებებში, თანახმად უწმ. სინოდის ინსტრუქციის მისსიონერთათვის (О миссіяхъ и миссіонер. инстр. въ Сборн. Закон. Барсова).

9. ბლაღოჩინები, ყველანი და უსათუოდ, უნდა ასრულებდნენ თავიანთ ინსტრუქციის 46 მუხლს, რომლის ძალით ისინი ვალდებულნი არიან არა მარტო ათვალიერონ ეკკლესიები, არამედ დაარიგონ მრევლი იცხოვრონ თანახმად სახარების მცნებისა და საეკკლესიო კანონებისა.

---

# ფელეტონი

## კრილოვის იგავ-არაკებიდან

### პატარა მუხა.

(ვუძღვნი ზოგიერთებს)

ერთ ტყეში პატარა მუხა
წამოიზარდა ნელ-ნელა,
დიდ, შტოიანი ხეები
გარს ეხვეოდნენ სუყველა.

—

არ აკარებდნენ ცივ ნიავს,
არა თუ ბუქსა და ქარსა;
სცდილობდნენ, არ დაეჩაგრა
არც ზაფხულს და არც ზამთარსა.

—

ბრიყვს როდი ესმის სიკეთე,
არც ზრუნვა მამაშვილური,
და ძლიერს ტყვილა-უბრალოდ
ხშირად ემდურის უძლური!

—

და მუხაც ისე მოიქცა:
სისწორ-სიმართლეს უმტყუნა
და მაგიერად მადლობის
ხეები აითვალწუნა.

—

სთქვა გუნებაში: „ცხადია,
დიდები მემტერებიან,
მიშლიან თავისუფლად ზრდას
და მიტომ მეფარებიან.

—

გზას არ მაძლევენ, ადგილი
დაუჭერიათ გარშემო,
სუყველა იმათ უნდება
აღარ-რა რჩება საჩემო!

—

ვერც გამიშლია შტოები,
ვეღარც გამიდგავს ფესვები,—
ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს,
ასე წკნელივით ვესვები?!..

—

ეს რომ არ იყოს, მაშინ მეც
დიდ-მუხად გადვიქცეოდი
და ვაჯობებდი სუყველას,
არა თუ დავეწეოდი“.

—

ასე ფიქრობდა საბრალო,
ჯერ ნორჩი, გამოუცდელი
და თან სცდილობდა დიდების
გატეხილიყო სახელი.

—

ერთხელ გლეხ-კაცმა, მახლობლად,
იქ გაიარა ცულითა.
მუხამ შენიშნა, გახარდა,
ათრთოლდა სიხარულითა.

—

და უთხრა: შორს რაღათ მიხვალ
ასაკაფავად ტყისაო?
აქ შეგიძლია აიღო
ახო, გინდ ასი დღისაო.

—

ხომ ხედავ ამდენ ხე-წკნელსა,
რომ მეხვევიან მე გარსო?
დაუშვი დიდი ხეები!
მერე აჰკაფავ წვრილ-ნარსო.

—

მე-კი დამტოვე ყანაში
ჩეროსთვის, საგრილებლადო,
მეც ერთგულებას გაგიწევ,
თავს შემოგწირავ მსხვერპლადო!..

—

დაუჯდა რჩევა, საყანეს
ვერ შეამჩნია მან წუნი
და რომ აწმინდა ჩირგვნალი,
დიდებს დაუწყო კაკუნი.

—

აიღო ახო და ხე-ტყე,
არ დარჩენია არც ერთი,
გარდა პატარა მუხისა...
მაგრამ გაუწყრა მას ღმერთი:

—

ტიტველი ყანა რომ დარჩა
და აღარ ქონდა საქარე,
ნამეტან სიცხე-სიცივით
დაადგა მუხას სიმწარე.

—

მზეც გადამეტად აჭერდა,
წვიმა ატანდა ძალისა,
და ქარიც ისე არხევდა,
როგორც ლერწამს და ჩალასა!

—

ერთხელ ამოტყდა გრიგალი,
რომ არ ნახულა, მისთანა;
ეძგერა მუხას, მოთხარა,
ყირაზე გადაიყვანა.

—

მოვიდა გველი და უთხრა:
„ჩემო პატარა მუხაო!
ხომ ხედავ ბედმა გიმტყუნა,
დაგჩაგრა, შეგაწუხაო?—

—

მაგრამ რომ შენი ბრალია,
თუ გინდა, მოგცემ ფიცსაო!—
„მგელი წაიღებს ყოველთვის
დედის წინ წასულ კვიცსაო“!

—

რა გაჰქარებდა? „უტკივარს
რისთვის იტკენდი თავსაო?“
აბა, სთქვი: დიდი ხეები
რას გიშვრებოდნენ ავსაო?

—

პირ-იქით, ხელსაც უწყობდნენ
გაზდას და გახარებასო,
და სიხარულით ელოდნენ
შენს დროზე დამთავრებასო!

—

ყველას აქვს თავ-თავისი დრო
სალხენს, თუ სამწუხაროსო!
„ერთი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბალნაროსო“.

—

დიდი ხეებიც მის დროზე
წაიქცეოდნენ ყველაო!..
შენ დაიჭერდი მათს ალაგს,
ეს იქნებოდა შველაო.

—

და მაშინ რაღას გიზამდა
ან ქარი, ან ავდარიო?
და კიდეც შეგერგებოდა
ზაფხული, გინდ ზამთარიო!

—

ისინიც ტყვილა გასწირე
და შენც უდროოდ წახდიო...
და სატირალი მოყვრისგან,
მტრის სასაცილოდ გახდიო!

—

ასე მოუვა, ვინც არის
უდროოდ თავ-მომწონეო!
„შენ გეუბნები, ძაღლო, და
რძალო-კი გაიგონეო“.

აკაკი.

---

## ვენახის გაშენების ამხანაგობა.

ჩვენს შინაურს ხარჯს თუ ჩავუკვირდებით, უეჭველია, თვალში გეცემათ ის დიდი ხარჯი, რომელიც მოგვდის ღვინოზედ.

ისეთი მცირე ქართველი ოჯახი არ იქნება, რომ ერთი ბოთლი ღვინო არ დალიოს დღეში. ბოთლი აბაზად რომ ვიანგარიშოთ, თვეში გამოდის ხარჯი ექვსი მანეთი, მაგრამ რომელი ქართველი ოჯახი იქნება, რომ თვეში ორი-სამი სტუმარი არ მოუვიდეს და, მაშასადამე, ჩვეულებრივ ხარჯს კიდევ წაემატება რამდენიმე მანათი; ასე რომ ბოლოს და ბოლოს ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, რომ თვეში ერთ თუმნად გადავრჩეთ.

რასაკვირველია, რაც უფრო დიდია ოჯახი, მით უფრო მეტია ღვინის ხარჯიცა. მაშასადამე, უნდა მოვძებნოთ ისეთი სალსარი, რომ როგორმე შევამციროთ ეს ძალა-უნებური ხარჯი. ამის სალსარი უპირველესად ის არის, რომ ღვინოზედ ხელი ავიღოთ, ხოლო რადგან ეს არ მოხერხდება და არც შეიძლება ამ უკიდურესობამდე მივიდეთ, უნდა ვიქონიოთ საკუთარი ვენახი, რომ წლითი-წლობამდე გვაძლიოს იმოდენა ღვინო, რაც ოჯახს დასჭირდება.

ყველა ჩვენგანს არ შესწევდება იმდენი ძალღონე და შეძლება, რომ საკუთარი ვენახი

10. შემოღებულ იქმნას დრო-გამოშვებითი სახალხო საკითხავ-საუბრები სამრევლოებში მღვდლის მეცადინეობით და მისისავე უმთავრეს მონაწილეობით და სოფლის მასწავლებლის თანაშემწეობით და, უკეთუ იმ დროს სამრევლოში იქნება მისსიონერი,—ამის ხელმძღვანელობით.

11. გამრავლებულ იქმნას სამისსიონერო, საბლაღოჩინო და სამრევლო ბიბლიოთეკები სასულიერო უწყების პირთა და ყველა მსურველთა სახმარებლად.

12. სამრევლო სკოლების მასწავლებლებმა, რომელთაც სემინარიაში კურსი არა აქვთ დამთავრებული (თუ სემინარიის მე-V კლასზე ნაკლები სწავლა აქვთ), ეკკლესიებში მზად დაბეჭდილი ქადაგებანი წარმოსთქვან; ვისაც მეტი განათლება აქვს, თუ შეადგენს, თავისი ქადაგებაც წარმოსთქვას ჯეროვანის ცენზურის შემდეგ,—როდესაც ადგილობრივი მღვდელი სხვა-და-სხვა შესაწყნარებელ მიზეზის გამო ვერ იტყვის ქადაგებას თვითონ.

13. სოფლის მასწავლებელი, როგორც მღვდლისა და მისსიონერის თანაშემწე სკოლის გარეთ; სარწმუნოება ერის ზნეობრივს განათლებაში; გეგმა მისი მოქმედებისა სკოლის გარეთ.

14. სალმრთო სჯულში დარიგება მღვდლის მიერ იმ ბავშვთა, რომელთა მშობლები სკოლაში არ აბარებენ სასწავლებლად, სახლ-და-სახლ სიარულის დროს მღვდლისა. კარგი იქნება ამისთანა მშობლებმა თავისი ბავშვები წელიწადში ექვსჯერ (ორ თვეში ერთჯერ) მაინც მღვდელს მიუყვანონ დასარიგებლად სალმრთო მცნებებში.

15. მღვდილის მოქმედების შესახებ პატარა (მიწერილს) სოფლებში და ბინებში; აშენება ამ გვარ ადგილებში სამლოცველოებისა, ასრულება იქ მღვთის-მსახურებისა და სხვ.

16. დაწესდეს ზოგი-ერთ მონასტრებში თავშესაფარები (пріюты) მათთვის, ვინც მონათვლას აპირებს, ან ახლად მონათლულია, ან შეერთებული და საჭიროებს, თავის ერთმორწმუნეთაგან განშორებას და სჯულში განმტკიცებას. საშუალებანი ახლად-შეერთებულთა მომავლის ცხოვრების კეთილ-განწყობისათვის.

17. ზოგი-ერთ ადგილებში ეკკლესიების გამშვენების შესახებ (მაგალითად, აფხაზეთში, ქიზიყში და სხვ.) და სახლებში სახმარებლად მრევლში ხატების გავრცელების შესახებ.

18. ტფილისის საეპარქიო სანთლის ქარხანასთან დაწესდეს მთავარი საწყობი საეკკლესიო ნივთებისა და წიგნებისა რუსულსა და ქართულ ენაზე; პროვინციებში-კი ამ საწყობის განყოფილების დაარსება სანთლის დუქნებთან, რომ მსურველთ შეღავათი ჰქონდეთ შეიძინონ საჭირო საეკკლესიო ნივთები და წიგნები.

19. ტფილისისავე სანთლის ქარხანასთან გაიმართოს სასტუმრო სასულიერო პირთათვის, რომელნიც ტფილისში ჩამოდიან, რადგან მათ ხარისხს არ შეეფერება ქალაქის სასტუმროებში და ზოგჯერ, ხელ-მოკლეობისა გამო, ავლაბრის ბაკებში ცხოვრება.

20. ტფილისის სასულიერო სემინარიაში მე-VI კლასში შემოღებულ იქმნეს პრაქტიკული სწავლება მედიცინისა იმდენად, რომ კურს-შესრულებულთ მღვდლობაში ან მასწავლებლობაში შეეძლოთ მოწყობა საშინაო პატარა აფთიაქისა, წამლობა ზოგიერთ არა რთულის ავადმყოფობისა მაინც და შეეძლოთ მოხმარება სახალხო კარაბადინებისა (лечебники), როგორიც არიან, მაგალითად, ანდრიევსკისა და ფლორინსკისა; თეორიული შესწავლა-კი იწყებოდეს მე-IV კლასიდგან და არა მეხუთიდგან, როგორც ეხლაა.

21. ტფილისისავე სემინარიის I კლასში სამოსწავლო წლის პირველ მეოთხედის განმავლობაში სიტყვიერების გაკვეთილებზედ განმეორებულ იქმნას რუსული გრამმატიკა, უმთავრესად მართლ-წერა, რადგან სემინარიელებში ცოტა არ არის კურს-შესრულებულნიც-კი, რომელნიც რუსულად შეცდომებითა სწერენ, რაიცა სჩანს მათის თხოვნებიდგან მასწავლებლობის ადგილის მიღების შესახებ და მათ-მიერ სემინარიაში დაწერილ თხზულებებიდგან.

22. სასულიერო სასწავლებლებში ქართულის ენის გაკვეთილებზე შემოღებულ იქმნას ვარჯიშობა I კლასიდგან მე-IV-დის ხუცურს წერაში, რომ ამით გაუადვილდეთ ხუცურის წიგნების კითხვა, რომელიც მოწაფეებს უძნელდებათ სემინარიაში კურს შესრულების შემდეგაც. სასწავლებლებში ასწავლონ გეოგრაფია კავკასიისა სამოქალაქო სკოლის პროგრამით და არა მხოლოდ შემოკლებით.

23. სამრევლო სამზრუნველოებისა და სკოლათა საბჭოების (კომიტეტებისა) მოქმედების განცხოველება.

24. სამისსიონერო სამრევლოებში და იმ ადგილებში, სადაც მართლმადიდებლებს კავშირი აქვთ სომხებთან, ნება მიეცეთ მედავითნეებს (უკეთუ წარჩინებულის ყოფაქცევისა არიან) ჩაიცვან სტიქარი ეკკლესიაში და გარეთ მსახურების დროს, რათა მეტი პატივი ჰქონდეს მართლ-მადიდებლობის წესთა ასრულებას. (სომხის მღვდლებს-ტერტერებს ნება აქვთ ეკკლესიაში და გარეთ იხმარონ მიტრები; მედავითნემ, მგალობელთა გუნდმა და სხვათ სტიქარები, რითაც მათ მსახურებას ხალხის თვალში პატივი ედება).

25. ეკკლესიების დღეობების მრევლთაგან წესიერად უქმობისათვის და მოსპობა ვაჭრობისა და ცეკვაობისა ეკკლესიის სიახლოვეს (მაგ. ქიზიყის სოფლებში) წირვის დაწყებიდგან დასრულებამდის, რადგან ეს გარემოება აცდენს ხალხს ლოცვას და უშლის მღვდელს რიგიანად სწიროს, ამის მოსასპობლად მოხმარდეს, დარიგების გარდა, დახმარება სამოქალაქო მთავრობისა, თანახმად კანონების მე-XIV ტომ. მე-16 მუხლისა და სხვ.

26. ის სამრევლოები, სადაც ქრისტიანობა უკვე გამტკიცებულია, მაგრამ საზოგადოების საბჭო მაინც იღებს ფულს მათის შენახვისათვის, გამოტოვებულ იქმნენ ამ საზოგადოების ხარჯისაგან და უწმ. სინოდის ხარჯით ინახებოდნენ; რაც ამ სამრევლოებისაგან საზოგადოების საბჭოს ფული დარჩება, მოჰხმარდეს სამისსიონერო საჭიროებას სხვა ადგილებში.

27. განმარტებულ იქმნას, რა კავშირი უნდა ჰქონდეთ საზოგადოების მისსიონერებს სამრევლო სკოლებთან (მათი უფლება ამ სკოლის დათვალიერების დროს), საეპარქიო სამოსწავლო საბჭოსთან და მის სამაზრო განყოფილებასთან; აგრეთვე—რა მონაწილეობას უნდა იღებდნენ საეპარქიო და სამაზრო ზედამხედველნი სამრევლო სკოლებისა სამისსიონერო საკითხებსა და საქმეებში.

28. ხარჯის შემცირების აზრით, სადაც შესაძლო იქნება,—სამაზრო სკოლების ზედამხედველის და მაზრის მისსიონერის თანამდებობანი შეერთებულიყოს ერთის ხელში, უკეთუ რომელიმე პირი იმდენად მომზადებულია, რომ დაუბრკოლებლად აღასრულოს ორივე თანამდებობა.

29. იმ საბლაღოჩინო ოლქებში, სადაც ბევრი სამრევლოა და დიდს მანძილზედ დაშორებული, ორის მოძღვრის არჩევის ნება მიეცეთ აღსარების გასაადვილებლად სასულიერო პირთათვის.

30. იმ სასულიერო სასწავლებლებში, სადაც პანსიონი არ არის (როგორც, მაგალ. თელავისა), დაარსდეს პანსიონი და, სადაც არის—გაფართოვდეს.

31. არჩეულ იყვნენ სოფლებში მცოდნე გავლენიანნი დედაკაცნი—სამისსიონერო ასპარეზზედ სამოღვაწოდ (თითო სამრევლოში თითო მაინც), რათა იმოქმედონ უმეტესად დედაკაცთა შორის; მოქმედება მათი წახალისებულ იქმნას დაჯილდოვებით.

32. საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მახარობლის ჟურნალში შემოიღონ განსაკუთრებითი სამისიონერო განყოფილება, (უკეთუ ცალკე სამისიონერო ჟურნალის გამოცემა საძნელო იქნება), სადაც იბეჭდებოდეს სამისსიონერო ხასიათის სტატიები, უმეტესად მისსიონერებისა.

33. თანახმად აღმშენებლობის წესდებისა (Строительный уставъ) მაჰმადიანთა სოფლებში, ქართველ-მაჰმადიანებისაში მაინც, 200 კომლზედ ერთის მეჩეთის მეტის აშენების ნება ნუ ეძლევათ (ისიც სასულიერო მთავრობასთან დაკითხვით), და არა ორისა, სამის და მეტისა, როგორც, მაგალითად, ზაქათალის ოლქშია, იმ საბუთით, ვითომც ეს მეჩეთები-კი არა, სამლოცველო სახლებიაო, მაგრამ მაჰმადის სჯულში მეჩეთი იგივეა, რაც სამლოცველო სახლი.

34. ქართველ-მაჰმადიანთა შორის შემცირდეს რიცხვი მეჩეთის სკოლებისა, დაწესდეს მათვალყურე მთავრობის მხრივ მეჩეთის სკოლებისა და მღვდლების მოქმედებისა; აღეკრძალოს თათრებსა და ლეკებს მოლლად გამწესდნენ ქართველ-მაჰმადიანთა სოფლებში, და ქართველ-მუსულმანებმა იყოლიონ მხოლოდ ქართველის ჩამომავალი მოლლა.

35. ქართველ-მაჰმადიანთა სოფლებში ოფიციალურ ქაღალდების გზავნა და სოფლების სასამართლოებში საქმეთა წერა (როგორც, მაგალითად, ზაქათალის ოლქშია) თათრულს ენაზედ ნუ იქნება, არამედ შემოღებულ იყოს რუსულს ენაზედ, ხოლო გადაეთარგმნოთ სამშობლო ენაზედ (სიტყვიერად მაინც, თუ არა ქაღალდით).

36. ზაქათალის ოლქის ქრისტიანები (ინგილოთაგან) განთავისუფლებულ იყვნენ ეგრედ წოდებულის „словесный судъ“-ის დამოკიდებულობისაგან, რომელს სუდშიაც საქმეს არჩევენ (ქრისტიან-ინგილოებისასაც) ზოგჯერ შარიათის (მაჰმადიანურის კანონით) ძალით, მაჰმადიანი-დივანბეგები და მოლა. ეს განთავისუფლება აუცილებლად უნდა მოხდეს თანახმად წმ. პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლესი, თავ. VI, მუხ. 1—8.

37. მისსიონერთა სახელმძღვანელოდ სხვა-და-სხვა ინსტრუქციებია, რომლებიც ზოგი-ერთ მუხლებში ერთმანეთს არ ეთანხმებიან; ამიტომ საჭიროა შედგენილ იქმნას ერთი ვრცელი ინსტრუქცია მისსიონერთათვის. ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას სხვა-და-სხვა დროს ორი ინსტრუქცია ანუ დარიგება შეუდგენია მისსიონერთათვის, მაგრამ მათ შედგენამდის უწმ. სინოდს კიდევაც გამოუცია ფრიად სასარგებლო სამისსიონერო ინსტრუქციები, რომლებთანაც უნდა შეთანხმდეს საზოგადოების გამოცემული ინსტრუქციები.—(სინოდალური ინსტრუქცია მაგალითად, დაბეჭდილია Сборникъ законоположен. по дух. вѣд. Барсова).

38. როგორც ვუწყით, საზოგადოების საბჭოს აღუძრავს შუამდგომლობა უწ. სინოდთან, რომ მისიონერები განთავისუფლებულ იყვნენ საზოგადოების სკოლების გამგებლობისაგან და სკოლების მეთვალყურედ დაინიშნოს ცალკე ინსპექტორი. რადგან სამრევლო სკოლები ყველგან ვრცელდება, ასე რომ მათის მოქმედებით ქრისტიანობა მაინც დამტკიცდება, საზოგადოების საბჭოს რომ არც-კი ჰქონდეს სკოლები, გადაეცეს საზოგადოების სასოფლო სკოლების შენახვა და მართვა სინოდალურ სასკოლო საბჭოს და რაც ფული დარჩება საზოგადოების საბჭოს სოფლის სკოლების გადაცემით დააარსონ ცენტრალი სასწავლებლები პანსიონებით, სადაც სამოსწავლო პროგრამმა გაცილებით ვრცელი იქნება და გამგედ ამ ცენტრალ სასწავლებლებისა და პანსიონებისა დაინიშნონ მისსიონერები, რადგან სკოლა ითვლება საიმედო იარაღად მისსიისა. ამგვარი მთავარი სასწავლებლები იქნებიან სტანებში (იხ. 1 საკითხი ამ სიისა), სოფლის სკოლებიდგან იქ გადაელენ სწავლის გასაგრძელებლად და სხვ.

39. რადგან ქრისტ. აღმ. საზოგადოება მეცადინეობს მხოლოდ ქრისტიანობის აღდგენას იმ ერთა შორის, რომელნიც ისტორიულ გარემოებით გადუდგნენ ქრისტეს სჯულს და თავის წესდების ძალით არ ეხება მართლმადიდებლობის გავრცელებას თათრებსა, ლეკებსა და სხვა ხალხში, ურიგო არ იქნება ამათთვის სახარების საქადაგებლად მოწვეულ იყოს მოსკოვის სამისსიონერო საზოგადოება, რომელიც მთელს რუსეთში მისსიებს აწესებს; შეიძლება თათრებმა და ლეკებმა შეიგნონ ქადაგება მართლმადიდებლობისა ვიდრე იმ ხალხით, სადაც ჰმოქმედობს კავკასიაში ქრს. აღ. საზოგადოება; ან კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ასპარეზი გადიდდეს იმ ზომამდე, რომ ყველა ურწმუნო ხალხში მისსიები გაიხსნას, ე. ი. იყვეს საზოგადოებად არა მარტო აღმადგენელად, არამედ გამავრცელებლადაც ქრისტიანობისა კავკასიაში.

40. შეიტყოს კრებამ, რომელი ზომები წინანდელ საეპარქიო კრებაზედ მოწონებული, სისრულეში არიან მოყვანილნი და მოქმედობენ და რომლები, თუმცა შეწყნარებულ იქმნენ, მაგრამ არ-კი მოჰხმარდნენ საქმეს, ან დარჩნენ უნაყოფოდ.

ჩვენის აზრით, ყველა საეპარქიო კრების წევრმა წინადვე უნდა იცოდეს, რა საკითხები იქმნებიან განხილულნი მომავალს კრებაზე, რომ ყველა მომზადებული იყოს საფუძვლიანად საქმის განხილვის დროს. უმეტეს შემთხვევაში კრების წევრი მხოლოდ კრებაზედ-ღა იგებს, რა საგნებზედ იქნება სჯა, ამიტომ საფუძვლიანად და სამართლიანად საქმის დაფასება ბევრს უძნელდება.

გაზეთ „ივერიის“ საშუალებით, რომელსაც თითქმის ყველა ქართლ-კახეთის მღვდელი კითხულობს, შესაძლოა სამღვდელოებამ ადრევე შეიტყოს შინაარსი ზემოხსენებულის 40 კითხვისა, რომელნიც წარუდგინა მისსიონერ მღვდ. ტ. ივანიცკიმ საზოგადოების საბჭოს. სასურველია, სხვებისაგან წარდგენილი საკითხებიც წინადვე ეუწყოს სამღვდელოებას კერძოდ მაინც.

მოგზაური.

# ნაკვესი და ნარევი

**ადმირალ დიუს ოიი.** ერთი ლონდონის გაზეთი მოგვითხრობს, რომ რამდენიმე წლის წინად მონტე-კარლოს კაზინოს (ბანქოს სათამაშო სახლის) წინ, რომელიც ზღვის პირადაა აგებული, ერთმა ამერიკის ჯავშნიანმა გემმა ღუზა ჩაუშვა. გემის უფროსი გადვიდა ნაპირად და გაემართა რულეტკის „დასათვალიერებლად“. რამდენიმე წამში წააგო 50,000 ფრ. საკუთარი და იმდენივე სახაზინო. დაბრუნდა გემზედ და იქიდგან ასეთი ბარათი მისწერა კაზინოს კანტორას: „გთხოვთ ჩემ მიერ წაგებული 100,000 ფრ. უკანვე დამიბრუნოთ, თორემ 15 წამის შემდეგ იძულებული ვიქნები კაზინოს უუმბარა დავუშინო. ვიცი, ამ საქციელისათვის ამერიკის მთავრობა დამსჯის, მაგრამ იგივე მომელის სახაზინო ფულის გაფლანგვისათვისაც; მაშასადამე, ჩემთვის ერთია, რისთვისაც უნდა დავისაჯო“. ამ ბარათის კილომ ისე შეაფიქრა რულეტის გამგენი, რომ იმ წამსვე დაუბრუნეს კაპიტანს თავისი 100,000 ფრ. ეს კაპიტანი თურმე სახელოვანი ადმირალი დიუ უოფილა—ესპანია-ამერიკის ომის გმირი!

* *
*

**მოსწრებული ჩინელი.** ერთ ჩინელს თავის გარდაცვალებულის საფლავზე ჩვეულებისამებრ ფლავი მიეტანა, დაედგა ზედ და დარდიანად შესჭყურებდა. ევროპიელმა დაინახა და დაცინვით ჰკითხა: „როდის მოვა შენი მკვდარი საიქიოდგან მაგ ფლავის საჭმელადაო?“—„როცა თქვენი მკვდრები ადგებიან და დაჰკრეფენ იმ ყვავილებს, რომელთაც თქვენ მათ საფლავებზე სთესავთო!“—მიუგო ჩინელმა.

# წერილი
## რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ სიმართლის აღსადგენად, დაუთმოთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ ერთ უმახლობელეს №-ში ამ ჩვენს მცირე წერილს.

«ივერიის» 94 №-ში ი. გოგიჩაიშვილი ბრალსა სდებს ლანჩხუთის სამრევლო საქალებო სკოლის გამგეს მღ. ეპ. ჩხაიძეს, ვითომც სკოლას შემოსავალი ჰქონდეს და მისი გამგე არ იწვევდეს მესამე მასწავლებელს და თავის დანაშაულობას მასწავლებლების გადამეტებულ შრომით ასწორებ-

---

გავაშენოთ. ვისაც შესწევს ეს ძალ-ღონე, ის არც ღვინის ხარჯს მოერიდება.

ჩვენ სახეში გვყავს იმისთანა ოჯახის პატრონები, რომლებიც საკუთარ ვენახის გაშენებასაც ვერ მოახერხებენ და ძალა-უნებური ღვინის ხარჯიც ემძიმებათ. ამისთანებისათვის გაადვილდება და შემცირდება ის ხარჯი, თუ ერთად შეერთდებიან, ამხანაგობას დააარსებენ, საამხანაგოდ მიწას შეიძენენ და გააშენებენ ვენახს.

მოკლედ გავარკვევთ, რა დაჯდება ვენახის გაშენება. ამხანაგობამ უნდა შეიძინოს კახეთში ათიდამ ვიდრე თხუთმეტ დესეტინამდე ცარიელი სავენახე მიწა. როგორც გამოანგარიშებულია, კახეთში ახალს წესზედ რომ გაშენდეს ვენახი, დესეტინას უნდება, მამულის ფასის გარდა, არა უმეტეს ას ოც-და-ათის თუმნისა და არა ნაკლებ ასისა. მეტ-ნაკლებობა ხარჯისა ადგილზედაც არის დამოკიდებული და გაშენების წესზედაც. ადგილია, რომ სამ ჩარექზედ მეტს არ მოითხოვს პლანტაჟის გაკეთება (მიწის გადმობრუნება) და ადგილია—ერთ არშინზედაც მოუნდება. ამასთანავე ლობზედაც არის დამოკიდებული ხარჯის მეტ-ნაკლებობა. მავთულის ლობეს მეტი უნდა, ძეძვისას—ნაკლები. განსხვავება ხარჯში იმისაგან წარმოსდგება კიდევ: სარს შეუდგავთ ვაზს, თუ მავთულზედ დააკავებთ და სხვ.

დესეტინა კარგ სავენახე ადგილს კახეთში იყიდის კაცი ათ თუმნიდამ ვიდრე თხუთმეტ თუმნამდე. ჯერ-ჯერობით უნდა გაშენდეს არა ნაკლებ 5 დესეტინისა. ხუთ დესეტინას პირველ წელიწადსვე უნდა შემოევლოს ლობე, ერთ არშინზედ უნდა გადმობრუნდეს მიწა (პლანტაჟი) და ჩაიყაროს რქა. პირველ წელიწადს ეს მუშაობაა საჭირო და ყოველივე ესე დაჯდება მამულის ფასითურთ 4,000 მანეთამდე. მეორე წელიწადს ნაკლები ხარჯი აქვს ახალ გაშენებულ ვენახს. სულ დიდი ხარჯი იქნება ას თუმნამდე; მესამე და მეოთხე წელიწადს იქნება 2,000 მანეთამდე, ე. ი. შვიდასი თუმანი დაჯდება და ამხანაგობას ექნება 5 დესეტინა გაშენებული ვენახი და მარანი, რომელშიაც უნდა იყოს ოთხმოც საპალნის ჭურჭელი მაინც, ცხენები და ყველა საჭირო იარაღი.

ვენახი ერთ წელიწადს არ გაშენდება და ერთ წელიწადს არც მოგვთხოვს სრულს თავის ხარჯს. ვენახი შენდება სამს წელიწადს და მეოთხეზედ უკვე მოსავალს გვაძლევს; თუმცა მესამე წელიწადსაც იძლევა ერთ მეოთხედს, ან ცოტა მეტ-ნაკლებს სრულის მოსავლისას, მაგრამ ეს მოსავალი ანგარიშში არ ჩაითვლება.

როდესაც ვენახის გაშენება დაიწყობა, მაშინ მხოლოდ ერთი მოჯამაგირე იქმნება საჭირო და ერთი ზედამხედველი. შემუშავება, რასაკვირველია, დღიურის მუშით უნდა იყოს წარმოებული. ზედამხედველი შემდეგ შეიძლება ამხანაგობამ იყოლიოს წილში, რადგან უფრო გულმოდგინედ მოუვლის ვენახს.

ამ გვარად შვიდასი თუმანი ოთხის წლის განმავლობაში უნდა დაიხარჯოს და არა ერთბაშად. თითო პაი ამხანაგობისა რომ 100 მანეთი ღირდეს, ამ თავითვე უსათუოდ უნდა შეიკრიბოს სამოც და ათი კაცი. თუ მეტი მსურველი იქნება, ვენახიც მეტი გაშენდება. პაისა ათი თუმანი უნდა გადიხადოს ამხანაგმა ოთხის წლის განმავლობაში ნაწილ ნაწილ. ჩვენ გვგონია რომ ამ ფულის გადახდა ასეთის შეღავათით გასაჭირი არ იქნება. თუნდაც გაუჭირდეს, უნდა მოახერხოს როგორმე, რადგან სამაგიეროდ შემდეგ სარგებლობას ჰნახავს და საშვილი-შვილოდ მამულის პატრონიც შეიქნება.

ახლა გამოვიანგარიშოთ, რა შემოსავალი ექნება ამ ვენახს. თუ სეტყვამ, ყინვამ და სხვა ბუნების მოვლენამ არ გააფუჭა ვაზი და საუფლის-წულო მამულის მაგალითით ვიხელმძღვანელებთ, დესეტინამ სულ მცირე მოსავალი უნდა მოგვცეს არა ნაკლებ ათის საპალნისა*). დიდს მოსავლიანობაში თხუთმეტიდამ თვრამეტამდე საპალნე ღვინო უნდა მოვიდეს ერთ დესეტინაზედ. ორთა შუა მოსავალი ვიანგარიშოთ თორმეტი საპალნე. მაშასადამე, ხუთი დესეტინა ვენახი წელიწადში მისცემს ამხანაგობას 60 საპალნეს.

ზოგ-ზოგ კახელ მემამულეს სიცილადაც არ ეყოფა ეს ანგარიში და იტყვის: მე ამდენ-ამდენი დესეტინა მაქვს და სულ არა გამოდის რაო. არც მოუვა და არ მოუვა იმიტომ, რომ არ მუშაობს, როგორც რიგია და წესი. ვენახი აქ რა შუაშია? აბა, გადაჰხედეთ საუფლისწულო ვენახებს, იქ ნამუშავარს და ჰნახეთ, რა შემოსავალი აქვს? ისე არ მოსცდება საუფლისწულო ვენახები, რომ დესეტინას თორმეტიდამ თხუთმეტ საპალნემდე გამოსავალი არა ჰქონდეს? რათა და მათა, რომ წესიერად მუშაობენ. თავის დროზედ ბარვა აქვს ვენახს, თავის დროზედ—თოხნა და სხვა მუშაობა, თავის დროზედ სწამლობენ და ამიტომაც მოსავალიც მოდის. საზოგადოდ, ძნელად რომ კარგად გაკეთებულმა ვენახმა იმტყუნოს, თუ, რასაკვირველია, ზეციდამ არა გაუჩნდა-რა, ცა და ღრუბელი დამშვიდებული აქვს. ამისთანა შემთხვევა-კი მხედველობაში არ უნდა ვიქონიოთ, რადგან მოულოდნელი ზარალი ყოველგვარ საქმეშია, თუმცა ახლა, როგორც ვიცით, სეტყვის წინააღმდეგაც-კი აპირებენ ბრძოლას და ვენახის შემოსავლის უზრუნველ-ყოფასაც დაზღვევით.

დიაღ, ჩვენ ვსთქვით, რომ 5 დეს. ვენახი 60 საპალნე ღვინოს მისცემს ამხანაგობასაო ხარჯისათვის. მაგრამ ვსთქვათ, რომ ხან მოსავალი ნაკლები მოვა, ხან ხარჯი მეტი მოუვა ამხანაგობას და ვივარაუდოთ, რომ 60 საპალნე-კი არა, 40 საპალნე მოვა ყოველ წლივ. ამასთანავე თხლე-ჭაჭაც ვიანგარიშოთ. 40 საპალნის ნაწური თხლე-ჭაჭა ღირს უკანასკნელი ორმოცი თუმანი; ეს შემოსავალიც სულ ხარჯს მივაკლოთ, ყველაფრის ხარჯს, თუნდ იმ ხარჯს, რომ ორმოცი საპალნე ამხანაგებმა თავ-თავიანთ სახლშივე ჩაიბარონ მზა-მზარეულად. ორმოც საპალნეს თუ გავყოფთ სამოცდა ათად, თითო პაის შეჰხვდება 25 ვედროზედ მეტი ღვინო. (40×45):70=25,7. ვედრო ღვინო ადგილასვე ეღირება არა ნაკლებ სამის მანეთისა. ტფილისში იმ ღვინოს ვერც ექვს მანეთად იშოვნით. ეხლა მკითხველმა თითონ ივარაუდოს, რა პროცენტი შეჰხვდება იმ ამხანაგს, რომელიც ათს თუმანს დააბანდებს ამ საქმეში, ოთხის წლის შემდეგ.

შესაძლებელია და დარწმუნებულიც ვარ, ბევრს ჭკუაშიც რომ დაუჯდეს ეს ფიქრი, მაინც იტყვის: ჩვენ ტფილისში ვიქნებით და იქ ყურს ვინ უგდებს ვენახსაო? ნუ-თუ ყოველივე საზოგადო საქმე სულ თვალ წინ უნდა კეთდებოდეს? საქმის საწარმოებლად უნდა შესდგეს მმართველობა და იმას მიენდოს ამ საქმის გაძღოლა.

თუ გამგეობაში მხნე, მცოდნე და სვინიდისიერს კაცებს აირჩევს ამხანაგობა, ვერაფერი ვერ ჩაშლის ამ საქმეს. ჩვენ აქ მოკლედ გავითვალისწინეთ ამხანაგობის მოქმედება. ყოველისავე დაწვრილებით ასანუსხველად წესდება უნდა შესდგეს ვრცლად და განმარტებით. თუ შესდგება ამხანაგობა, მაშინ ყველა გამოირკვევა. ჩვენ არ დავასახელებთ დრომდე იმ მემამულეებს, რომელთაც სიამოვნებით აღგვითქვეს სავენახე ადგილის დათმობა ან სყიდვით ან საამხანაგო წილის ფულის ანგარიშში. რაც ეღირება მამული, იმ საფასურის პაიებს აიღებენ და სრულს კუთვნილებად გადასცემენ ამხანაგობას. ეს მამულები სიღნაღის მაზრაშია კარდანახს და გურჯაანს შუა. ეს ჩვენი აზრი რამდენსამე ქართველს კაცს ავუხსენით და თითქმის ყველამ სურვილი გამოაცხადა, ჩავეწერებით მაგისთანა ამხანაგობაშიო. ამ ცოტას ხნის განმავლობაში იქნება ამაზედ მოლაპარაკება და ვისაც სურვილი აქვს, ამ საქმეში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან დაესწროს კრებას. სად იქნება კრება და როდის, „ივერიაში“ იქნება გამოცხადებული.

ი. მ.

*) საპალნეშია 45 ვედრო, ანუ 720 ბოთლი.

დეს. 2) [illegible] განვითარებაში [illegible] მეტი მონაწილეობა მიიღეს, რომ მეტი ხეირი [illegible], რის გამო სკოლის [illegible].

ა. გოგიბერიძის სახელობით მღ. [illegible] წერილი დასტამბა „ივერიაში“, რომელშიაც ამტკიცებს [illegible] გოგიბერიძის წერილის [illegible] და აგრეთვე [illegible].

შემოსავალ-გასავალი სამეურნეო: შემოსავალი—200 მ., სოფლის შემოწირულებისაგან—402 მანეთი, სულ—802 მანეთი, გასავალი სამი მასწავლებელს ჯამაგირი—700 მან. [illegible]—176 მ., [illegible] 982 მ. 80 კ. [illegible] 106 მ. 80 კ., [illegible] 180 მ. 80 კ. [illegible]

წრა-კვრის განვითარებაში წელს 30 მოსწავლე და არა 15, როგორც [illegible]. [illegible] 67 მოსწავლე [illegible] 96. [illegible]

სკოლაში მოდიოდა 67 მოსწავლე და არა 30-ზე [illegible].

[illegible] სხვა ტახთსაცმელებს. გარდა გოგიბერიძისა ერთი მომდურავიც არ გვინახავს სკოლისა.

გრ. ურატაძე, ვლ. ქუთათელაძე, ივ. კალანდაძე, ის. ურუშაძე, კირილე წილოსანი, ნესტორ მხეიძე.

## მადლობის გამოცხადება

### I

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ივანე ი.—ძეს რატიანს, რომელმაც მისდამი შეგროვილი ათი მანეთი და თხუთმეტი კაპეიკი (10 მ. და 15 კაპ.) დიდი ჯიხაიშის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შემოსწირა და იმათაც, ვინც კეთილ ინებეს და შემოსწირეს: ივანე რატიანმა 2 მან., იაგორ გვარცხავამ 1 მან., ბ. ლოტაევმა 1 მან., კოლა მრევლიშვილმა 50 კაპ., ბუტ. გრიგორიანცმა 50 კაპ., სიმონ ხარაზიშვილმა 50 კაპ., ბ. ვ. ი. 50 კაპ., იოსებ ყაზაროვმა 40 კაპ., ბ. ვართანოვმა 40 კაპ., ბ. მურადოვმა 40 კაპ., ბ. გ. ჩომარიანცმა 30 კაპ., ალექსანდრე სირბილაძემ 30 კაპ., ს. აბესაძემ 30 კაპ., ბატ. № 25 კაპ., ჭიჭინაძემ 20 კაპ., ბ. ტრაფინოვმა 20 კაპ., გ. საკაშვილმა 50 კაპ., ს. ვაცაძემ 40 კაპ., ბ. კირაკოზოვმა 50 კაპ.,

დიდი-ჯიხაიშის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე ივანე ლეჟავა.

### II

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ჩვენი უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ კონსტანტინე თავართქილაძეს და მის ძმებს, რომელთაც შემოსწირეს ხიდისთავის უფასო სამკითხველოს 155 ცალი ქართულ-რუსული წიგნი, ღირებული 34 მან. ამასთანავე აღგვითქვეს ახლო მომავალში გადმოცემა ოც-და-ათი მანეთისა ხიდისთავის საზოგადო სახლის ასაშენებელ ფონდის მისამატებლად. დიდ მადლობას უძღვნით უფ. მიხეილ ელიაძეს, რომელმაც შემოსწირა ხსენებულ სამკითხველოს 36 ცალი წიგნი, ღირებული სამ მან. ამასთანავე მოვაგონებ ყველას, ვისაც სურს დახმარება აღმოუჩინოს ხიდისთავში უკვე დაწყებულ საზოგადო სახლის აშენებას, დააჩქაროს თავისი წვლილის მოწოდება, რადგან უფულობისა გამო დღეს შენობა შეჩერებულია.

გამგე ხიდისთავის სახალხო სახლისა ანტონ რამიშვილი.

### III

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მადლობა გამოუცხადოთ შემომწირველთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს სოფ. ნაღვარევის (დუშეთის მაზრის) წმ. გიორგის ეკკლესიას ასაშენებლად. ქალაქ პიატიგორსკიდგან გამოგზავნილი ფოშტით: ანნა კურკუმელისამა 1 მან., ნიკოლოზ ღუდუშაურმა 50 კაპ., ისიდორე ბედოევმა 1 მან., ნიკოლოზ კაიშაურმა 1 მან., ზარიბეგ ღზაკაევმა 50 კაპ., მეორედ გრიგოლ სოლომონის-ძე კობაიძემ 50 კაპ., სტეფანე ჩოხელმა 50 კაპ., ივანე ბუთხუზმა 50 კაპ., გიგო ბედიძემა 50 კაპ.; სანდრო კანდელაკმა 30 კაპ., ალექსანდრე ბურდულმა 20 კაპ., მიხეილ ბურდულმა 20 კაპ., მაქსიმე ხუციევმა 20 კაპ., გიორგი ბურდულმა 20 კაპ., თევდორე ნაზღაიძემ 20 კაპ., ალექსანდრე ზოტიკოვმა 20 კაპ., ნიკოლოზ კობერიძემ 20 კაპ., იოსებ კაიშაურმა 20 კაპ., სიმონ კაიშაურმა 20 კაპ., ივანე ნაზღაიძემ 20 კაპ. და ზაქარია ებრაელიძემ 20 კაპ. ვბედავ და ვაწუხებ უმორჩილესის თხოვნით სხვათაც შესწირონ ამ კეთილს საქმესა.

ნაღვარევის წმ. გიორგის ეკკლესიის მედავითნე ალექსი არგანაშვილი.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

7 ივნისი

**ვარშავა.** „კალიშის გაზეთი“ იუწყება, რომ კალიშის გზის პრუსიის რკინის გზებთან შეერთების საქმე მალე გადასწყდებაო. საქონლის გადატვირთვა მოხდება რუსეთის მხარეზედ.

**ეკენესი.** ნიულანდის გუბერნატორმა გენერალმა კაიგოროდოვმა დაამტკიცა, რომ აქ მართლმადიდებელთა სასაფლაოზედ დასაფლავებულნი არიან რუსის მეომარნი, რომელნიც პეტრე დიდის დროს იყვნენ მოკლულნი. გუბერნატორისა, საზღვაო კორპუსის კადეტთა და ზღვაოსანთა თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი.

**პარიჟი.** ქ-ნ. იავორსკის რუსულმა დასმა დაასრულა წარმოდგენების მართვა ანტუანის თეატრში. ძალიან მოეწონა საზოგადოებას იავორსკის ქალის თამაში ჩეხოვისა, გორკისა და ბარიატინსკის პიესებში.

**სევასტოპოლი.** აქ მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თავ. სვიატოპოლკ-მირსკი.

**კიევი.** სამხედრო ოლქის სასამართლომ, გასინჯა-რა საქმე გლეხის ჩეპეგინისა, რომელიც გენერალ-გუბერნატორმა სამართალში მისცა, დამნაშავედ იცნო იგი სამსახურს გარეშე მყოფ გენ.-დეტ. ვეისის მოკვლის განზრახვისათვის და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში 20 წლით გაგზავნა. ეს საქმე სამხედრო-საოლქო სასამართლოში გაირჩა.

9 ივნისი

**პეტერბურგი.** საქსონიის მეფის გარდაცვალებისა გამო მათის უდიდებულესობის სასახლეში 24 დღეს იმგლოვიარებენ.

**ბელგრადი.** უსკიუბის ეპისკოპოსს ფირმილიანს აღარ აკურთხებენ ათონის მთაზე, რადგან საბერძნეთის ადგილობრივი სასულიერო პირნი წინააღმდეგნი არიან.

**სარატოვი.** მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა პროექტი ასტრახანის რკინის გზისა, რომელიც გაივლის ვოლგის მარცხენა ნაპირზე სარატოვამდე. ვოლგაზე ხიდი იქნება გაკეთებული.

**ეკატერინბურგი.** უფასა და ზლატოუსტს შუა, ტუნდუშის სადგურის ახლო, რკინის გზის მატარებელს უბედურება შეემთხვა. დაიმტვრა 13 ვაგონი. მოკლულია კონდუქტორი.

**ლვოვი.** სეიმზე გრაფმა პოტოცკიმ წარმოსთქვა, რომ, როგორც პოლშის ისტორიულ წარსულიდამაცა სჩანს, ხალხი, რომელიც თავის წარსულს აფასებს და მომავალშიაც მოქმედება მოუღის, არას დროს არ მოისპობა განსაკუთრებულ კანონების შემოღებით ან სხვა გვარის დევნით. ამ ხალხმა თავის ეროვნების დასაცავად უნაყოფო დემონსტრაციებით-კი არ უნდა იბრძოლოს, არამედ უნდა იშრომოს ნაციონალურ ძალ-ღონის შეერთებისა და გაძლიერებისათვის. თავის მოვალეობის ასრულების დროს, აქაც, ამ ქვეყანაში უნდა დაიგმოს ერთი ერის მეორე ერისადმი სიძულვილი. დეე, ყოველმა ერმა იშრომოს თავისიანების გასაძლიერებლად. ეს გზა კარგ ნაყოფს მოიტანს.

**სიბილლენორტი.** მეფის გვამი დრეზდენში მიასვენეს. ორშაბათს დაასაფლავებენ.

**პარიჟი.** ბულგარიის მინისტრ-პრეზიდენტმა ხელი მოაწერა 106,000,000 ფრანკის სესხის პირობას.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო კვლავ გამოიცეს გაზ. «პრიდნეპროვსკი კრაი», რომელიც იმ წლის 30-ს მარტს მინისტრისავე განკარგულებით შეწყვეტილ იყო.

9 ივნისი.

**ჰელსინგფორსი.** გამოცხადებულია ოფიციალური უარ-ყოფა „ხუფვუდსტადსბლადეტ“-ში დაბეჭდილის შენიშვნისა, ვითომც გაუქმებულ იქმნა სამართალში მიცემა იმ კაცებისა, რომელნიც არ წარდგნენ სამხედრო ბეგრის გადასახდელად. ეს შენიშვნა დაბეჭდილი იყო მოხსენებულს გაზეთში რამდენისამე დღის შემდეგ, რაც ვიბორგის რატჰაუზის სასამართლომ გაამართლა ხსენებულნი დამნაშავენი.

**ყაზანი.** 8 ივნისს გაჩნდა ცეცხლი თათრის უბანში, გადიწვა ბევრი ქვითკირის სახლი, მეჩეთი და მრავალი დუქანი. მილიონების ზარალია.

**პარიჟი.** უნდა მოხდეს ლიკვიდაცია საზოგადოებისა „საზოგადო კასა ოჯახთათვის, რომელსაც პრეზიდენტის ბრძანებით ჩამოერთვა კონცესიის ოპერაციების წარმოებისა. ამბობენ სათადარიგო თანხაში დეფიციტი 24 მილიონის ფრანკისაო.

10 ივნისი

**ყაზანი.** დღეს ქარი ჰქროდა და ცეცხლმაც ხელ-ახლად იჩინა თავი თათრის უბანში; მრავალი მუსულმანთა სახლი გადიბუგა, ბევრი დარჩა ღვთის ანაბრად.

**პეტერბურგი.** „Вѣстникъ финансовъ“-ს დღევანდელ ნომერში ჭარხლის ნათესობის სივრცე, როგორც ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, 15 მაისისათვის ნაჩვენებია 543,536 დესეტინად, შარშანდელზედ თითქმის 3% მეტი.

### პეტერბურგის ბირჟა, 7 ივნისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,10 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,75 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,60 |
| ბირჟის დისკონტი | $4^1/_2$—$6^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $96^7/_8$ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | $98^5/_8$ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 468 წვ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 359 გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 289 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | $88^5/_8$ წვ. გაყ. |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | $89^3/_4$ გაყ. |
| $4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 4555 წვ. გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 430 წვ. გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 170 გაყ. |

### ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

| | მოდის ტფილ. | გადის ტფილ. |
|---|---|---|
| **ბაქო.** | | |
| სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) | 3 ს. 43 წ. დღ. | 11 ს. 49 წ. დილ. |
| ფოსტის „ (ყოვ.-დღე) | 4 ს. 54 წ. დღ. | 1 ს. 34 წ. დღ. |
| სამგზავ. „ „ | 8 ს. 37 წ. დილ. | 8 ს. 22 წ. საღ. |
| **ბათუმი.** | | |
| სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) | 10 ს. 2 წ. დილ. | 7 ს. 43 წ. დილ. |
| ფოსტის „ „ | 12 ს. 32 წ. დღ. | 6 ს. 7 წ. საღ. |
| სამგზავ. „ „ | 7 ს. 37 წ. საღ. | 9 ს. 27 წ. დილ. |
| **ყარსი და ალექსან.** | | |
| ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) | 7 ს. 18 წ. დილ. | 9 ს. 28 წ. საღ. |
| ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან) | 4 ს. 35 წ. დღ. | 3 ს. 13 წ. დღ. |
| **ბორჯომი.** | | |
| სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე). | 6 ს. 57 წ. დილ. | 6 ს. 22 წ. დილ. |
| სამგზავრო „ „ | 9 ს. 53 წ. საღ. | 2 ს. 28 წ. დღ. |


## განცხადება

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

**ყოველის მხრიდან**

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა ფასი 10 კ.

და

**მოთხრობანი**

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

ნავთის-მრეწველთა ამხანაგობის

**„შხტას“**

გამგეობა იწვევს პაის პატრონთ არა-ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზედ, რომელიც დანიშნულია სამშაბათს, 18 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, გურგენოვის ბაღში, მიხეილის პროსპექტზედ, № 143.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) გამგეობის ხუთი წევრის ამორჩევა.

4) სამის სარევიზიო კომისიის წევრისა და ორის მათის კანდიდატის ამორჩევა.

3) გადაწყვეტა გამგეობის შემდეგის მოქმედებისა.

გამგეობა აცხადებს აგრეთვე, რომ გადაწყვეტილია 5% შეტანა, ესე იგი 5 მ. შეტანა ნაწილ-ნაწილად თითო პაიში—19 ივნისიდგან 28-მდის, აგრეთვე 29 ივნისიდგან—9 ივლისამდე ჯარიმითურთ ამხანაგობის ხელშეკრულობის მე-§ 7 თანახმად, ფულის შეტანის დროს პაის პატრონებმა უნდა წარმოადგინონ პაის კვიტანციები.

(2—356—2)

GRAND PRIX PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

**А. Ралле и К°**

„Кремъ-Ралле,

Лучшій Кольдъ-Кремъ“

**წერაკითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

| | |
|---|---|
| საყმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილმა | „ 30 |
| საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ. | 1 40 |
| Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ | „ 60 |
| სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა | 1 მ. „ |
| მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა. | „ 30 |
| ყოველის მხრიდგან. არბოელისა. | „ 10 |
| ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი | ,, 15 |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა | „ 50 |
| ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა | ,, 15 |
| ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი | ,, 30 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | ,, 5 |
| აბო ტფილელი, ე. კ. | ,, 30 |
| Або Тифлисскій, Е. К. | ,, 5 |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ | ,, 60 |
| გიორგი და მიხეილი | ,, 10 |
| რ. აბაშიძისა | ,, 60 |
| დ. გაბრუაშვილისა | ,, 25 |
| მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა | ,, 40 |
| მუშათა კითხვა | 15 ,, |
| მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. [illegible] ძანძიშვილის | 1 [illegible] |
| მოძღვრებანი, ი. ბმრეკელისა. | ,, 40 |
| Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ | ,, 20 |
| ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა | ,, 40 |
| შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა | ,, 30 |
| ჩანგი, ვ. აბაშიძისა | 1 ,, |
| ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა. | |
| Царица Тамара, М. Джанашвили | ,, 50 |
| ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა | ,, 30 |
| ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა | 1 ,, |
| Характеристики и воспоминанія Г. Туманова | ,, 50 |
| დედა, ანდერსენისა | ,, 8 |
| Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели | ,, 30 |
| კუბიკები ქართული ანბანისა | 1 მ. 20 |
| ლექსები განდეგილისა | ,, 50 |
| ევდოშვილისა | ,, 50 |
| დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი | 1 მ. ,, |
| დაუჯდომელი წმ. ნინოსი | ,, 20 |
| Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К. | ,, 10 |
| Давидъ Гареджели, Е. К. | ,, 15 |
| ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა | ,, 15 |
| დენე, მოთხრობა | ,, 5 |
| Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили | ,, 40 |
| Назрѣвшій Е.ропов съ, К. | ,, 20 |
| ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა | ,, 5 |
| Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ | ,, 3 |
| ამბავი მღვდლის ქვისა | ,, 5 |
| აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშ. | ,, 15 |
| ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი | 1 მ. ,, 50 |
| ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი | ,, 40 |
| ბინა. | ,, 10 |
| ბუნების სიტყვრი მოყვრნი, ს. ჯუღელისა | ,, 15 |
| ბაში-აჩუკი, აკაკისა. | ,, 30 |
| ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა 1 მ. | ,, 30 |
| გლეხი-კაცის ისტორია, III—IV ტ. 1 მ. | ,, 20 |
| გამზრდელი, აკაკისა | ,, 5 |
| გასართობი | ,, 10 |
| გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა | ,, 15 |
| გუსტავ ვაზა | ,, 5 |
| პატარა ლორდის თავგადასავალი | ,, 30 |
| პატრა ვეფხვის ტყაოსანი. | ,, 25 |
| რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა | ,, 40 |
| სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა | 1 ,, |
| სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა. | ,, 60 |
| აერო დღესასწაული | ,, 25 |
| Въ Барсовой кожѣ, Мкинвари | 1 р. ,, |
| ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა. | 3 ,, |
| Заслуги Грузинскаго монашества, Е. К | ,, 30 |
| თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი | 1 მ. |
| თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა | ,, 40 |
| თამარ-დედოფლის სამკაული | ,, 10 |
| თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა | ,, 50 |
| ისტორია ქართულ სტამბებისა | ,, 15 |
| იანიჩარიდ., ნახუცრიშვილისა. | ,, 40 |
| კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II არ. ქუთათელაძისა | ,, 60 |
| სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი | 1 ,, |
| სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა | ,, 30 |
| საყმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა. | ,, 50 |
| სუმბული, ს. ქვარიანისა. | ,, 20 |
| ტარტუფი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა | ,, 50 |
| უკვდავთა დაღადებანი, მ. ჯანაშვილისა | ,, 15 |
| მეცნიერებისთვის წამებულნი | 1 ,, |
| Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева | 1 50 |
| ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლისა | ,, 10 |

**ამხ. „ვერეიჩევი და კამენმახერი“**

ღირს-ქმნილი თვისის სტამბის საქმეთათვის ბათუმში 1901 წლის კავკასიის საიუბილეო გამოფენის **მედალისა**

და გაზეთ „Тифл. Лист.“-ის ფრიად სასიამოვნო მოწონებისა (№ 277, 1901 წ.) აუწყებს ყველას, რომ მიხეილისა და ნემცების ქუჩის კუთხეში, სლივიცკის სახლში გამართა

**სტამბა და სახაზავი,**

რომელნიც მოწყობილია ტეხნიკის ყოველ მოთხოვნილებისა თანხმად და ამიტომ შეეძლება ყოველ-გვარი სასტამბო და სახაზავი სამუშაო შეასრულოს ყოველ ევროპიულსა და აქაურს ენაზედ

**კოხტად, სწრაფად და იაფად**

23 მარტიდგან სტამბის კანტორა ღიაა ყოველ-დღე. სტამბაზედ მოშორებით მცხოვრებნი მუშტარნი არ შესწუხდნენ სტამბაში მოსვლით, „ვერეიჩევისა და კამენმახერის“ ამხანაგობას მრავლად ჰყავს მოსამსახურე ხალხი, რომელნიც სურვილისამებრ ეახლებიან და მიიღებენ მუშტართაგან საქმეებს. ტელეფონი № 852.

(25—309—24)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 іюня 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.